ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გიორგი კვირიკაშვილი: „დღევანდელი დღე იმის გარანტიაა, რომ ვიცხოვრებთ უკეთეს, ერთიან და ძლიერ საქართველოში“



გვ.3

27 მაისიდან

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

ბიძია თომას ქოხი

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




პარასკევი, 27 მაისი, 2016

№124 (7050)

ფასი: 50 თეთრი

# „სააკაშვილმა და ადეიშვილმა სანდრა რულოვსის გამო იჩხუბეს“



გვ.3



ტრისტან წითელაშვილი: „ოცნებაში“ ჩანერგილები სერიოზულ პროვოკაციებს გეგმავენ“



## რა დავალებები მიიღეს ბურჭულაძემ, გირჩებმა და ვაშაძემ უკრაინიდან

# გიგა ოთხოზორია ზუგდიდში დაკრძალეს

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლს მიმართა

**აფხაზური მხარე: „რაშიდ კანჯი-ოღლი დაკავებული არ არის“**



გვ.4

ჟენევის მოლაპარაკებების დღის წესრიგის შეცვლა დაგეგმილი არ არის



გვ.4

## ხურჩაში მომხდარ მკვლელობას დღეს გალის შეხვედრაზე განიხილავენ



გვ.2

## დავით ლორთქიფანიძე: „ნაციონალებს ქუჩაში გამოსვლის უნდა რცხვენოდეთ“

„კანდელაკისთვის ხელბორკილი უნდა გადამეცა, მაგრამ სხდომაზე არ იყო“

ISSN 1987-9385

„საარჩევნო კანონპროექტის ინიცირება მალე მოხდება“



გვ.2

**გია ვოლსკი: „არჩევნები გერმანული მოდელის მსგავსი სისტემით ჩატარდება“**

## თინა ხიდაშელი: „ეს დღე ჩვენია და ყოველ 26 მაისს ყველანი ერთად ვეტყვით „არას“ ოკუპაციას“



გვ.4



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით ლორთქიფანიძე: „ნაციონალებს ქუჩაში გამოსვლის უნდა რცხვენოდეთ“

## „კანდელაკისთვის ხელბორკილი უნდა გადამეცა, მაგრამ სხდომაზე არ იყო“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი **დავით ლორთქიფანიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლევან ბერძენიშვილს პასუხობს და კორცხელის ინციდენტით შექმნილ მოცემულობაზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ვნახოთ, დავით ლორთქიფანიძის პიჯაკი უფრო ძვირი ღირს თუ მელიას ჯანმრთელობაო. თქვენი თვალთახედვით, კორცხელში როგორ განვითარდა მოვლენები?***

– ლევან ბერძენიშვილთან საპოლემიკო არაფერი მაქვს. ლევანი დიდი ხანია პოლიტიკაშია. მეტს არაფერს ვიტყვი.

***– რას ნიშნავს, დიდი ხანია პოლიტიკაშია?***

– ძალიან დიდი ხანია პოლიტიკაშია, ძალიან დიდი ხანი. მისგან მიკვირს ასეთი შეფასება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ აქ საუბარი პიჯაკზე კი არ არის. ამ პრობლემის პიჯაკზე დაყვანა არ შეიძლება. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დათო ლორთქიფანიძის პიჯაკი სადმე იყო ჩამოკიდებული საკიდარზე, დაუხიეს და ამის გამოა პრობლემა, ძალიან ცდება ლევანი. ის პიჯაკი მე მეცვა პარლამენტის შენობაში, სამუშაო ადგილზე. აქციის მონაწილეებმა არ მომცეს პარლამენტის შენობაში შესვლის საშუალება. ასეთი მცდელობა იმ დღეს მხოლოდ ჩემ მიმართ კი არა, ლუკა კურტანიძის, იაშა შერვაშიძის, ვალერი გელაშვილის მიმართაც იყო. ისინი გათამამდნენ, ბოლოს მე შევრჩი და ფიზიკურ აგრესიაზე გადმოვიდნენ.

არა მგონია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრზე ფიზიკურად შეეხება და პიჯაკის შემოხევა არაფერია. მაშინ იმავეს ვისურვებ ბატონ ლევანს და ვნახავ, როგორ მოიქცევა (იუმორით ვამბობ), დანარჩენი სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა. დანაშაულის შემდგომ, როგორც პარლამენტის წევრს, მომმართა პროკურატურამ, რადგან ვიდეოთვალმა ყველაფერი ჩაიწერა. საგამოძიებო უწყებისთვის უნდა მეთქვა, ეს არ მომხდარა-მეთქი? იყო ცუდი ფაქტი. ამ ფაქტის დაკავშირება მელიას ჯანმრთელობასთან უხერხულად მეჩვენება.

***– რა მოცემულობა შეიქმნა კორცხელის ინციდენტით?***

– ძალადობას ვემიჯნები, პარლამენტის წევრების მიმართ იქნება თუ რიგითი მოქალაქეების. ამიტომ ეს საქმე სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული. პირველ რიგში, დაპირისპირების წამომწყები უნდა გაირკვეს და პასუხი მოეთხოვოს. ჩვენ ქართველები ვართ, კავკასიელები, ცხელი სისხლი გვაქვს. ამიტომ გამოსარკვევია, სპორტსმენები თავისთვის იყვნენ, გადავიდნენ ჭკუიდან და ნაციონალებს დაეტაკნენ თუ მაპროვოცირებელი რამ მოხდა. ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს და დამნაშავემ კანონის შესაბამისად აგოს პასუხი.

კნინობით ფორმაში იმ ადამიანების მოხსენიება (კუნთმაგარი სპორტსმენები) შეურაცხმყოფელია. ეს ადამიანები არიან მოჭიდავეები. მოჭიდავეს კუნთი უნდა ჰქონდეს. უკუნთო მოჭიდავე არ მინახავს.

***– როგორ მოხვდნენ ერთ მოედანზე ნაციონალების მთელი გუნდი და მოჭიდავეები? რამ შეყარა ისინი იქ?***

– ზუსტად ეს კითხვები ჩნდება, რატომ მაინცდამაინც ზუგდიდში, რატომ მაინცდამაინც კორცხელში და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიასთან? რატომ შეიყარა ყველა ნაციონალი ერთად და რატომ არ გადანაწილდნენ დანარჩენ 7 უბანზე? ყველანი ერთად იყვნენ. მათ მსგავსი რამ ცადეს გარდაბანში გამგებლის არჩევნების დროს. იქ მე და რამდენიმე დეპუტატი გახლდით და ვერ გაბედეს. კორცხელში ნაცებს პროვოკაცია ძალიან კარგად გამოუვიდათ.

***– „ოცნება“ აბრალებს ნაციონალებს, რომ მათ ჩაიყვანეს სპორტსმენები კორცხელში და მათ დავალებას ასრულებდნენ. ნაციონალები ამბობენ, რომ სპორტსმენები „ოცნებამ“ გააგზავნა და ამას კახი კალაძეს აბრალებენ.***

– ეს ადამიანები თავისუფალი მოქალაქეები არიან. როგორც პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, ეს ხალხი პარტიის წევრები არიან, როგორც პარტიის წევრები და მხარდამჭერები, შეიძლება ჩავიდნენ კორცხელში, წყალტუბოსა თუ ოზურგეთში.

ადამიანებს საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებას ვერავინ აუკრძალავს. საუბრობენ იმაზე, ეს ადამიანები იყვნენ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღშიო. ბოტანიკურ ბაღში ყოფნა დანაშაულის წინაპირობა არ არის. ეს ნაციონალების ხელწერაა. გაგახსენებთ, ნავთლუღში სამი ახალგაზრდა ჩაცხრილეს იმიტომ, რომ მოელანდათ, ეს ადამიანები ციხის ასაღებად მიდიოდნენ.

ასეთი მოლანდებები ნაცებს ჰქონდათ. ნაცები ამ რეციდივისაგან ბოლომდე დღესაც არ არიან გათავისუფლებული. მოელანდათ, რომ ბოტანიკურ ბაღში მყოფი ადამიანები რაღაცას ამზადებდნენ. პროკურატურამ ყველა კითხვას დროულად უნდა გასცეს პასუხი. ეს ადამიანები არ მალავენ, რომ ჩასული იყვნენ. არ მინახავს ზონდერი ნიღბის გარეშე. ნაციონალების ზონდერები ჩვენ გვახსოვს 7 ნოემბერს, 26 მაისს ნიღბებით რა დღეში იყვნენ და რა მდგომარეობაში აგდებდნენ მოსახლეობას. ახლა ამ ხალხისთვის ზონდერების წოდება უხერხულია. მათ აქვთ თავიანთი სპორტული წარსული, ღირსეული ვაჟკაცები არიან და შეურაცხმყოფელია მათი ამ ფორმით მოხსენიება.



***– მაშინ ამ სპორტსმენებმა ძალაუნებურად დათვური სამსახური ხომ არ გაუწიეს „ოცნებას“, თუნდაც იმით, რომ აჰყვნენ ნაცმოძრაობის პროვოკაციას?***

– არ ვიცი, რეალურად რა მოხდა. არა მგონია, ფაქტობრივი გარემოებებისა და იძულების გარეშე დაპირისპირებაში ჩაბმულიყვნენ. მე მგონია, რომ ისინი გამოიწვიეს. არ ვიცი, უნდა აჰყოლოდნენ თუ არა, მაგრამ ყველას ერთნაირი მოთმინება არ აქვს. არ არის აუცილებელი, დედა შეაგინო. შეიძლება, ისეთი მზერა მიაპყრო, ღირსების შემლახავი იყოს.

ნაციონალებს ქუჩაში გამოსვლის უნდა რცხვენოდეთ. მათი მხრიდან მორალის წაკითხვა გამაღიზიანებელია. ვფიქრობ, იქ რაღაც მოხდა ისეთი. ამ ბიჭებმა ყველაფერი უნდა თქვან. რაც შეეხება დათვურ სამსახურს, რა თქმა უნდა, ეს მმართველ პოლიტიკურ ძალას სახელს არ მატებს, მაგრამ, რომ გითხრათ, ტრაგედიაა და ქვეყანა დაინგრა-მეთქი, ასე არ არის. მთავარია, სიმართლე დადგინდეს.

დავით ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ნაციონალი დეპუტატები ცინიკურად იქცევიან.

– გამოვიდა ნაცების ერთ-ერთი დეპუტატი (მათი სახელის ხსენებაც არ მინდა) და განაცხადა, დღეს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წელი სრულდება, ამაყი ვარ, რომ 25 წლის წინ აღლუმზე ვიყავი, მაგრამ 25 წლის შემდეგ რა უბედურება დაგვემართა, რომ კორცხელში ტრაგედია დაატრიალეთ, სისხლი დაღვარეთო.

მას ვუპასუხე, 25 წლის წინ კი არა, 4 წლის წინ, რაც ნაცებმა ხალხს რუსთაველზე დამართეთ, გაუგონარია – ქუჩაში დაგვდევდნენ, დაგვარბიეთ, დაასახიჩრეთ ადამიანები. როგორ დაგვადეს იმ ღამეს ბორკილები.

2003 წლიდან მოყოლებული, 8 წლის განმავლობაში მთელი მოსახლეობა ტყვეობაში ჰყავდათ. პარლამენტის სხდომაზე თან მქონდა ის ბორკილი, რომელსაც მაშინ ხალხს ხელებზე ადებდნენ. სულიკო ასათიანი და კვინტრაძე, რომლებიც მათ დახოცეს და მაღაზიის თავზე დაყარეს. იმ ოჯახიდან წამოღებული ხელბორკილები მქონდა. ნაცებს პარლამენტის სხდომაზე ვუთხარი, ეს ხელბორკილები თქვენ დაგედებათ, სახელმწიფო თქვენ პასუხს მოგთხოვთ-მეთქი.

***– დამნაშავეებისთვის ბორკილების დადება ხომ არ დაგვიანდა?***

– მე უტრირებას არ ვაკეთებ, ალეგორიულად ვამბობ. სამართლიანობის აღდგენა, რა თქმა უნდა, დაგვიანდა. ზუსტად ამის ბრალია, ნაცბანდა თავის თავს უფლებას რომ აძლევს, თქვას, თქვენ ვერ აღადგინეთ სამართლიანობა, თქვენ ვერ დაამყარეთ წესრიგიო. მათ ვეუბნები, წესრიგი რომ დაგვემყარებინა (რაც ძალიან ცუდია), ისინი დღეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში არ ისხდებოდნენ. ეს არის არის მინუსი, რის გამოც ჩვენ მოსახლეობა გვსაყვედურობს.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ დეპუტატების მნიშვნელოვანი ნაწილი ამას არ ვეგუებით. არც არასოდეს შევეგუებით და დაწყებულ საქმეს, სამართლიანობას ბოლომდე ალვადგენთ.

***– ე.ი. ნაციონალების ჭკუისმასწავლებლურ განცხადებებს არ იღებთ?***

– როდესაც ამორალური ადამიანი მორალს გიკითხავს, ეს არის ცინიზმი, რამაც შეიძლება ადამიანს წონასწორობა დაგაკარგვინოს.

***– დაღუპულებს რომ არ წამოუდგნენ...***

– ეგენი არც ქართველები არიან, არც ქრისტიანები. ვერანაირ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ იმის გამო, რაც ჩაიდინეს და ამბობენ, დასახოცები იყვნენო. ვაჟკაცი დეპუტატები პარლამენტში (სპორტსმენები, ხელოვნების წარმომადგენლები და აბსოლუტური უმრავლესობა), ნაცების შემყურე, მავნე გარემოში ვართ. უბრალოდ, პოლიტიკაში ვართ და იძულებული ვართ, მოვითმინოთ.

***– კორცხელის ინციდენტით შეიქმნა სურათი „დაჩაგრული ნაციონალებისა“. ამერიკის ელჩმა და ევროპის სახალხო პარტიამ განცხადებებიც გააკეთეს. რას მოვიმკით კორცხელის ინციდენტის გამო?***

– ნაცმოძრაობა მოტივირებულია. მათ იციან, რომ მომავალი არ აქვთ – არჩევნებში, რა თქმა უნდა, ვერ გაიმარჯვებენ, მაგრამ მათ აქვთ ერთი ამოცანა, ყველა საშუალებით დაამარცხონ „ქართული ოცნება“. ამიტომ საერთაშორისო ასპარეზზე დასანსალებენ, რომ ფონი შექმნან. სწორედ ამიტომ ის ხელბორკილი უნდა გადამეცა კანდელაკისთვის, მაგრამ სხდომაზე არ იყო.

# გია ვოლსკი: „არჩევნები გერმანული მოდელის მსგავსი სისტემით ჩატარდება“

## „საარჩევნო კანონპროექტის ინიცირება მალე მოხდება“

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საარჩევნო სისტემის ე.წ. გერმანული მოდელი კონსტიტუციის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

***– ბატონო გია, ნაციონალურმა მოძრაობამ საპარლამენტო მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადა. ფიქრობთ, რომ კორცხელის ინციდენტის შემდეგ ხელისუფლებას უფრო მეტი ყურადღება მართებს, რომ 8 ოქტომბრის არჩევნები ნორმალურ გარემოში ჩატარდეს?***

– არა მარტო ყურადღებით ყოფნა მართებს, არამედ კანონმდებლობის თვალსაზრისითაც უნდა იყოს ხელისუფლების ყურადღება გაძლიერებული. კანონი ასეთი ფაქტების მიმართ უფრო მკაცრი უნდა იყოს. რეალურად მცირე ჯარიმით ან რამდენიმედღიანი დაკავებით შემოიფარგლება სასჯელი ასეთი შემთხვევების დროს. ვფიქრობ, კანონის წინაშეც უნდა იყოს გარკვეული მორიდება.

***– მხოლოდ კანონი, რომლის ინიციატორიც პრემიერია, აღკვეთს მსგავს ფაქტებს?***

– რასაკვირველია, მხოლოდ კანონი ვერ უშველის, მაგრამ საზოგადოებას, რომელსაც აქვს რეალური პერსპექტივა, რომ ევროპული ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი იყოს, უნდა ესმოდეს, რომ ყველა ასეთი უხეში ნაბიჯი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში იქნება, რაც უნდა მძიმე იყოს გარკვეული ადამიანების დანაშაული, რაც უნდა სერიოზული იყოს პროვოცირება ასეთი შეჯახებების, სერიოზული დამაზიანებელია ქვეყნის მომავლის, ჩვენი საზოგადოების იმიჯის.

ეს შეგნება უნდა გვქონდეს და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ, ხოლო კანონი შეუგნებელთათვის უნდა



იყოს.

***– რა მოლოდინები გაქვთ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისგან? რთული ფონი იქნება?***

– არა მგონია. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით პოლიტიკურ სპექტრს შორის შეთანხმების პროცესი როგორც კი დასრულდება და ჩვენ წინასაარჩევნო რეჟიმში გადავალთ, ვითარება მნიშვნელოვანწილად დაექვემდებარება საარჩევნო შეჯიბრებას სტრატეგიებს, ხედვებს შორის და არა – კუნთებს შორის შეჯიბრებას. წინასაარჩევნო გარემო როდესაც ქვეყანაში გახსნილად გამოცხადდება, ყველაფერი თავის ჩარჩოში ჩადგება.

***– ბატონო გია, ოპოზიცია იმედოვნებს, რომ პარლამენტში 76 ხმას მოაგროვებს და 8 ოქტომბრის არჩევნებიც გერმანული მოდელით ჩატარდება. შეიძლება მოვლენები მართლაც ასე განვითარდეს და ახალი მოდელით ჩატარდეს არჩევნები?***

– გერმანული მოდელი კონსტიტუციის მოთხოვნას არ შეესაბამება. ამას ვამბობ ექსპერტების დასკვნებზე დაყრდნობით. რეალურად, გერმანიაში პროპორციულად ტარდება არჩევნები, მართალია, სხვადასხვა მეთოდით არჩეული, მაგრამ პარლამენტში პროპორციული სიით არჩეული შემადგენლობა ხვდება. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ეს მოდელი ჩვენს კონსტიტუციასთან შეუსაბამო იქნება.

***– თუ გავიდა, 76 დეპუტატმა თუ მხარი დაუჭირა?***

– რეალურად რომ დავითვალოთ, თეორიული შანსი არსებობს, მაგრამ მაინც ნაკლებია ეს შანსი.

***– მოქმედი კანონმდებლობით ჩატარდება არჩევნები?***

– არა, საარჩევნო კოდექსზე მუშაობა მიმდინარეობს. პარლამენტის იურიდიული კომიტეტი უახლოეს მომავალში საარჩევნო კანონპროექტის ინიცირებას მოახდენს, რომელიც გერმანული მოდელის მსგავსია, თუმცა რამდენიმე პრინციპულ მუხლში არის განსხვავება.

***– „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებზე უმრავლესობით შეძლებს პარლამენტში მოსვლას?***

– მე ვფიქრობ, შეძლებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილმა და ადეიშვილმა სანდრა რულოვსის გამო იჩხუბეს“

## რა დავალებები მიიღეს ბურჭულაძემ, გირჩებმა და ვაშაძემ უკრაინიდან

შორენა მარსაგიშვილი





რა მოლაპარაკებები გამართა სააკაშვილმა თავის პარტნიორებთან, ვისთან მოუვიდა კამათი საარჩევნო სიის ფორმირებისას, რა გეგმის განხორციელება დაიწყო ნაციონალურმა მოძრაობამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

**ტრისტან წითელაშვილი:**

– 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან მოყოლებული, ნაციონალური მოძრაობა იმაზე ფიქრობს, როგორ დაბრუნდეს ხელისუფლებაში. საამისოდ მას რამდენიმე გეგმა აქვს დაწერილი. გეგმების შემუშავება დღემდე გრძელდება. ისინი მზად არიან ნებისმიერი სცენარის განვითარებისთვის, რასაც ხელისუფლებაზე ვერ ვიტყვით. დაახლოებით ერთი კვირის წინაც ვნახეთ, რომ მათ მცირე მასშტაბის პროვოკაციასთანაც კი ვერ შეძლეს გამკლავება.

***– სამეგრელოში მომხდარ ინციდენტს გულისხმობთ?***

– ვიღაცას შესაძლოა გული მოეფხანა, როცა იხილა, თუ როგორ ურტყამდნენ გიგა ბოკერიასა და ნიკა მელიას. ამ ხალხს ბევრი ადამიანი ჰყავს გამწარებული და მესმის ამ ადამიანების, მაგრამ ხელისუფლებას ეს ყველანაირად უნდა აეცილებინა თავიდან. ქუჩაში შესაძლოა ისინი ვინმემ გალახოს და ამაზე ხელისუფლებას ვერავინ უსაყვედურებს, მაგრამ, როცა ასეთი რამე არჩევნებზე ხდება, ამას აუცილებლად ექნება ცუდი საერთაშორისო გამოხმაურება.

ევროპის სახალხო პარტია და ნაციონალების სხვა ლობისტები ისედაც იმის მტკიცებაში არიან, რომ „ქართული ოცნება“ მათ ატერორებს და პოლიტიკური ნიშნით დევნის. ალბათ, წარმოგიდგენიათ, როგორ შეფუთავენ ამ ინციდენტს ნაციონალები და მათი ლობისტები. ისინი მთელ მსოფლიოს დააჯერებენ იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლებას მშვიდობიანი არჩევნების ჩატარება არ შეუძლია. საპარლამენტო არჩევნებზე ამ ფონით თავად ისარგებლებენ და თავად აურევენ სიტუაციას.



***– ხელისუფლება თუ შეძლებს ამ არეულობასთან გამკლავებას? თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ უბანზე ვერაფერი მოიმოქმედეს, ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება, როცა არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართება.***

– ძალიან საინტერესო და სახიფათო არჩევნები გველოდება. ნაციონალებს რამდენიმე გეგმა აქვთ შემუშავებული. რამდენიმე გეგმა მათ პირადად მე გავუშიფრე. ხელისუფლებას მივაწოდე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინიდან საქართველოში ხდება კარგად მომზადებული ზონდერების შემოდინება. დავუსახელე კონკრეტული სახელები და გვარები. ჩემი ინფორმაცია რომ სიმართლე იყო, ეს იმ საუბრებიდანაც გამოჩნდა, რამდენიმე თვის წინ რომ გამოქვეყნდა.

ზონდერების გამოყენებას ნაციონალები მთელი ქვეყნის მასშტაბით აპირებენ. ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას პროცესებთან გამკლავება უჭირს და შესაძლოა აქ რაიმე უბედურება დატრიალდეს.

ძალადობის გარდა, ნაციონალები სხვა მეთოდების გამოყენებასაც აპირებენ. არაერთხელ ვთქვით მეც და სხვა ექსპერტებმაც, რომ მათ ჰყავთ რამდენიმე სატელიტური პარტია. დაწყებული ჩერნოვეცკიდან, დამთავრებული ბურჭულაძით, ყველა მაგათზე მუშაობს.

***– ჩერნოვეცკი უკვე გამოეთიშა პროცესებს.***

– ეგ იმიტომ, რომ მთლად კარგად ვერ მოიკიდა აქ ფეხი. მის გასააქტიურებლად სასურველი ფონი არ შეიქმნა და ამიტომაც გააჩერეს. ეს ნაციონალებისთვის დიდი დანაკლისი არ არის, კიდევ ჰყავთ სატელიტები. რაც უნდა ამტკიცოს პაატა ბურჭულაძემ, დამოუკიდებელი ვარო, ყველამ იცის, რომ ის სააკაშვილზეა დამოკიდებული. არსებობს მათი კავშირის დამამტკიცებელი ფაქტებიც.

ბურჭულაძის გარდა, ნაციონალების გეგმის მიხედვით იმოქმედებენ გირჩები და გიორგი ვაშაძეც. მათ უკვე მიიღეს კონკრეტული დავალებები მიხეილ სააკაშვილისგან. შემთხვევითი არაა, რომ ნაციონალებიდან წამოსული ვაშაძე პირდაპირ კიევში ჩაფრინდა. კი გვიმტკიცებს, რომ იქ სააკაშვილს არ შეხვედრია, მაგრამ ამას არავინ დაიჯერებს.

***– ვაშაძეზე ამბობენ, რომ ის ივანიშვილმა გადაიბირა და ამაში მნიშვნელოვანი როლი ვანო ჩხარტიშვილმა შეასრულა.***

– არ დაიჯეროთ, არავითარი ივანიშვილი და ვანო ჩხარტიშვილი. ეგ არის სააკაშვილის კაცი და მის დავალებებს ასრულებს. ამაში ყველანი დარწმუნდებით ცოტა ხანში.



**ტრისტან წითელაშვილი: „ოცნებაში“ ჩანერგილები სერიოზულ პროვოკაციებს გეგმავენ“**

***– გიორგი ვაშაძე ზურაბ ადეიშვილის კადრად მოიაზრებოდა. როგორც ამბობენ, ის მას შემდეგ წამოვიდა, რაც სააკაშვილს ადეიშვილთან უთანხმოება მოუვიდა. თქვენ უკრაინაში გყავთ ნაცნობები და მათგან თუ გსმენიათ რამე ამ უთანხმოების შესახებ?***

– ვაშაძე მართლა ადეიშვილის კადრია, მაგრამ ყველა ერთად სააკაშვილის გუნდს წარმოადგენს. რაც შეეხება უთანხმოებას, ეს მართლაც მოხდა და ის ნაციონალების საარჩევნო სიის ფორმირებას უკავშირდებოდა.

***– ადეიშვილს თავისი ხალხის ჩასმა უნდოდა და სააკაშვილმა არ დათმო თუ რა მოხდა?***

– რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი სანდრა რულოვსი უნდა ყოფილიყო. ყოფილი ხელისუფლება აპირებდა, ის ზუგდიდში მაჟორიტარობის კანდიდატადაც დაესახელებინა. ეს იდეა ნაციონალებს თავად სააკაშვილმა შესთავაზა. ისინიც დათანხმდნენ. წინააღმდეგი მხოლოდ ზურაბ ადეიშვილი წავიდა.

***– ადეიშვილი რატომ იყო წინააღმდეგი?***

– სანდრა რულოვსი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაშია ჩართული. ამაზე, ქართული და უკრაინული მედიის გარდა, დასავლეთშიც საუბრობენ. ცოტა ხნის წინ სირიაში მისი ბიზნესპარტნიორი დააკავეს და მან ყველაფერი თქვა. დასავლეთში ყველამ იცის, რას საქმიანობს რულოვსი. ამიტომაც ურჩია ადეიშვილმა სააკაშვილს, მისი ცოლი სიის პირველ ნომრად არ ჩაეწერა.

***– სააკაშვილმა ასე მარტივად დაუჯერა?***

– ადეიშვილი არაა უჭკუო კაცი და მან სააკაშვილს სათანადო არგუმენტებიც დაუსახელა. ოდესის გუბერნატორმა მას დაუჯერა და რულოვსი საარჩევნო სიიდან საერთოდ ამოიღეს.

***– თუ სააკაშვილმა ადეიშვილს დაუჯერა, მათ შორის რატომღა მოხდა უთანხმოება?***

– ეტყობა, სააკაშვილს მაინც ეწყინა, რატომ მითხრა ცოლზე ასეთი რამეო. სკანდალი და დიდი ჩხუბი მათ შორის არ ყოფილა, უბრალოდ, ადეიშვილი უკრაინიდან ცოტა ხნით წავიდა. არჩევნებისთვის ისევ ერთად იქნებიან. ამიტომ ვერ დავიჯერებ, რომ გიორგი ვაშაძე მის გამო არ ჩასვეს სიის ათეულში და ისიც გაბრაზებული წავიდა.

გირჩები, ბურჭულაძე და ვაშაძე არჩევნებზე შეეცდებიან დაკარგული ხმების მოგროვებას. ზოგი პენსიონერებზე იმუშავებს, ზოგიც – ახალგაზრდებზე. ისინი შეეცდებიან, არცერთი ხმა არ დაკარგონ. თუ ნახავენ ეს პარტიები, რომ პარლამენტში უმრავლესობის მოსაგროვებლად საჭირო ხმები მოაგროვეს, გაჩერდებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არეულობას მოაწყობენ. არეულობის მოსაწყობად ზონდერები მზად ჰყავთ. ყველაფერს ხელისუფლებას დააბრალებენ. არგუმენტად ზუგდიდში მომხდარ ბოლო ინციდენტს დაასახელებენ.

***– თქვენი აზრით, შეძლებენ ეს პარტიები იმდენი ხმის მოგროვებას, რომ პარლამენტში უმრავლესობა შექმნან?***

– მარტო ამათ შესაძლოა ვერ მოახერხონ, მაგრამ ალასანია და რესპუბლიკელებიც დაეხმარებიან. კიდევ რამდენიმე პარტია გადავა მათ მხარეს. „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ისინი სერიოზულ სამზადისში არიან.

ყველაფერთან ერთად, სააკაშვილი თავის მომხრეებს მორალურადაც ამხნევებს. 26 მაისს მან საგანგებო მიმართვა გაავრცელა და მომხრეებს დაჰპირდა, წელს ბოლო დამოუკიდებლობის დღეა, რომელიც აღლუმის გარეშე ჩატარდაო.

***– თქვენ როგორ გგონიათ, ჩაატარებს მომავალ წელს სააკაშვილი 26 მაისს აღლუმს?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ასე თუ გააგრძელა, მომავალ წელს ნაციონალები სამხედრო აღლუმს ნამდვილად თავად ჩაატარებენ. გარდა იმისა, რომ უსუსურები არიან, „ქართული ოცნების“ რიგებში ბევრია ნაციონალების მიერ ჩანერგილი, რომლებიც სხვადასხვა პროვოკაციას გეგმავენ.

ამ პროვოკაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო დავით კოღუაშვილის განცხადება. დიდი იმედი მაქვს, რომ მისი განცხადება იყო მხოლოდ უგუნურობა და არა – წინასწარ მოფიქრებული. მართლა არ მესმის, ადამიანმა მერაბიშვილზე როგორ უნდა თქვა, გარემოების მსხვერპლიაო. კაცი საჯაროდ, ყველას თვალწინ ითხოვდა, ორი გვამი მინდაო. ამ ამბიდან ცოტა ხანში გენერალი გია კრიალაშვილი ჩაცხრილეს, კობა ოთანაძე კი სასწაულით გადარჩა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის შესახებ მაინც არაფერი იცოდა კოღუაშვილმა?

ასეთ განცხადებებს მომავალშიც მრავლად ვიხილავთ. „ქართულ ოცნებაში“ კიდევ ბევრი შეეცდება ნაციონალების „გაპრავებას“.

***– არსებობს ვერსია, რომ მერაბიშვილი და უგულავა ნაციონალებზე განაწყენებული არიან და კოღუაშვილმა ამ განცხადებით ცადა მათი მომხრეების გადმობირება. ამაზე რას იტყვით?***

– მერაბიშვილი და უგულავა ნაციონალებზე შესაძლოა ნაწყენი იყვნენ, მაგრამ მათ არანაირი რესურსი არ გააჩნიათ საამისოდ, რომ „ოცნებას“ ხმები მოუტანონ. აქ რაღაც სხვა ამბავია. „ქართულ ოცნებაში“ ძალიან ცუდი თამაშები მიდის.

# გიორგი კვირიკაშვილი: „დღევანდელი დღე იმის გარანტიაა, რომ ვიცხოვრებთ უკეთეს, ერთიან და ძლიერ საქართველოში“

– ჩვენს სამშობლოს ბევრი ტკივილი და გამარჯვება უნახავს, მაგრამ დღევანდელი დღე, დღევანდელი მიღწევები და პერსპექტივები იმის გარანტიაა, რომ ვიცხოვრებთ უკეთეს, ერთიან და ძლიერ საქართველოში, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავისუფლების მოედანზე ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას.



ამასთან, როგორც პრემიერმა აღნიშნა, ჩვენს ქვეყანას წინ აქვს დიდი წარმატებები და გამარჯვებები, რასაც აფხაზ და ოს ძმებთან ერთად მიაღწევს.

გიორგი კვირიკაშვილი:

– გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს. წელს ჩვენი ქვეყანა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავს ზეიმობს. ვულოცავ ამ დღეს მთელ საქართველოს, ჩვენს ყველა თანამემამულეს.

დღევანდელ დღეს ვულოცავ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, მათ, ვისაც უდიდესი წვლილი მიგიძღვით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. განსაკუთრებით გილოცავთ თქვენ. საქართველოს ჯარისკაცებო. დღევანდელი დღე გამორჩეულად ამაღელვებელია წვევამდელებისთვის.

დღეს თქვენ დადეთ ფიცი სამშობლოს წინაშე და გახდით ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცები. მე მჯერა, რომ თქვენ პირნათლად მოიხდით ვალს სამშობლოს წინაშე და არასოდეს დაივიწყებთ, რის ფასად მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ეს დამოუკიდებლობა, არასოდეს დაივიწყებთ მათ, ვინც სიცოცხლე შესწირა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას.

სამშობლოს სამსახური ყველაზე დიდი პატივია. დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი ჩვენი ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი იქნება და ყოველთვის გემახსოვრებათ, რომ თქვენს ზურგს უკან ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველოა.

დამოუკიდებლობის დღეს ვულოცავ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ჩვენი ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებს, განსაკუთრებით საერთაშორისო მისიების მონაწილე სამხედროებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს იცავენ, იცავენ მშვიდობას მსოფლიოში. მადლობა მათ ქვეყნის ერთგულებისთვის და მსოფლიოში ქართველი ჯარისკაცების უშიშარ და თავდადებულ მეომრებად წარმოჩენისთვის.

ამ 25 წლის განმავლობაში საქართველომ რთული გზა განვლო, დიდი მსხვერპლი გაიღო. პატივს მივაგებ სამშობლოსთვის დაღუპული გმირების ხსოვნას.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ წარმატებებს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად მივაღწევთ, შევძლებთ ტკივილის დაძლევას და უკეთესი მომავლისკენ ერთად განვაგრძობთ გზას.

**ინტერპრესნიუსი**

# სუსის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს. ღონისძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ბონდო ოჩიგავა, ადმინისტრაციის უფროსი ლელა ჩიქოვანი და ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

სუსის ობიექტების დაცვის მთავარ სამმართველოში ახალწვეულები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლიან. შესაბამისი წვრთნების შედეგად, ისინი სამხედრო საქმიანობას შეისწავლიან და პროფესიულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ.

ფიცის დადების შემდეგ ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს გამორჩეულ ჯარისკაცებს, რომლებმაც უკვე გაიარეს სამხედრო სამსახური, მადლობის სიგელები გადაეცათ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიგა ოთხოზორია ზუგდიდში დაკრძალეს

## აფხაზური მხარე: „რაშიდ კანჯი-ოღლი დაკავებული არ არის“

გუშინ, 26 მაისს, ზუგდიდში დაკრძალეს 19 მაისს ხურჩა-ნაბაკევის ადმინისტრაციულ საზღვართან ე.წ. მესაზღვრის მიერ მოკლული გიგა ოთხოზორია.

დილიდან ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა, სადაც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიების ლიდერები მივიდნენ.

ხურჩაში მომხდარი მკვლელობა ზუგდიდში გუშინ კიდევ ერთხელ გააპროტესტეს. ცენტრალური ბულვარიდან დადიანების სასახლემდე მშვიდობიანი მსვლელობა მოეწყო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა აფხაზ ხალხს მიმართეს და მათ მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ მოუწოდეს.



* * *

## საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლს მიმართა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულ რაშიდ კანჯი-ოღლი ზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შუამდგომლობით ინტერპოლს მიმართა.

როგორც ირაკლი შოთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს პროკურატურა ინტერპოლისგან პასუხს ელოდება.

— ჩვენ მივმართეთ ინტერპოლს საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შუამდგომლობით. ველოდებით პასუხს. იმედი მაქვს, უახლოეს დღეებში ეს მკვლელი წითელი ცირკულარით ძებნაში იქნება, — განაცხადა მთავარმა პროკურორმა.

რაც შეეხება მისი დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, შოთაძის თქმით, ამას ვერ დაადასტურებს, რადგან მსგავსი ინფორმაცია არ აქვს.

ირაკლი შოთაძემ გიგა ოთხოზორიას ოჯახს პირადად მიუსამძიმრა.

* * *

გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რაშიდ კანჯი-ოღლი დაკავებულია, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პროკურატურა უარყოფს.

როგორც დე ფაქტო უწყებაში „ეხო კავკაზას“ კორესპონდენტს განუცხადეს, ამ დროისთვის კანჯი ოღლის შეჩერებული აქვს უფლებამოსილება და წარმოებს სამსახურებრივი მოკვლევა. დე ფაქტო პროკურატურა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სოფელ ხურჩაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

როგორც დე ფაქტო პროკურატურის წარმომადგენლებმა „ეხო კავკაზას“ განუცხადეს, დანაშაული საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხდა და გამოძიების მასალები და ნივთმტკიცებებიც ქართულ მხარეს აქვს.

— დანაშაული მოხდა საზღვრის ქართულ მხარეს. მათ აქვთ ვიდეოჩანაწერი, ტყვიები, ცხედარი და ა.შ. აფხაზეთის მხარეს არანაირი ნივთიერი მტკიცებულება არ აქვს, — განაცხადა აფხაზური პროკურატურის წარმომადგენელმა.

დე ფაქტო საგამოძიებო უწყების განცხადებით, გამოკითხული მოწმეები აცხადებენ, რომ ინციდენტი გიგა ოთხოზორიას მიერ იყო პროვოცირებული და სწორედ მან წამოიწყო ჩხუბი.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო აპირებს ქართულ მხარეს მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნით მიმართოს. ამ მოთხოვნის დაყენებას გალში დაგეგმილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის საგანგებო შეხვედრაზე აპირებენ.

* * *

გიგა ოთხოზორიას მკვლელის დაკავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა გააკეთა.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, არსებობს ინფორმაცია, რომ რაშიდ კანჯი-ოღლი აფხაზეთის დე ფაქტო სამართალდამცავი ორგანოების მიერ არის დაკავებული, თუმცა გომელაური დარწმუნებით ვერ ამბობს, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია.

— ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ასეა ზუსტად, მაგრამ, ჩვენ რაც ინფორმაცია გვაქვს, ეს ადამიანი არის დაკავებული განზრახ მკვლელობის მუხლით. რამდენს მიუსჯიან, ამას სასამართლო და გამოძიება გადაწყვეტს, — განაცხადა გომელაურმა.

სუსის ხელმძღვანელის თქმით, დეტალებზე ვერ ისაუბრებს, თუმცა არსებობს გარკვეული მოლაპარაკებები აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებთან, მათ შორის საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მხრიდანაც:

— ამაზე გახსნილად ვერ ვისაუბრებთ, იყო მოლაპარაკებები. ზაქარეიშვილის მხრიდანაც იყო საუბრები, — აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

* * *

ექსპერტი მამუკა არეშიძე თითქმის დარწმუნებულია, რომ გიგა ოთხოზორიას მკვლელის ქართული მხარისთვის გადმოცემა არ მოხდება.

— თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დამნაშავის გადმოცემა არ მოხდება, თუმცა ამას ვამბობ იმიტომ, რომ არ არის გამორიცხული, ამის მცირე შანსი მაინც არსებობდეს.

არსებობს აფხაზების პატარა პროცენტი, რომელიც თვლის, რომ ეს ფაქტი უნდა იყოს სამართლებრივ ჩარჩოში გადაყვანილი და დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ეს ის კატეგორიაა, რომლებიც ამინდს არ ქმნიან აფხაზურ პოლიტსივრცეში, მაგრამ ამინდს ქმნიან აფხაზურ სოციალურ ქსელში. ეს ხალხი ამბობს, ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ ცივილიზებული სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოს თვალში უნდა მოვიქცეთ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად, — აღნიშნა არეშიძემ.

ექსპერტის ინფორმაციით, რაშიდ კანჯი-ოღლი ქართულ-აფხაზური ომის გმირის შვილია.

მამუკა არეშიძის ინფორმაციით, გიგა ოთხოზორიას მკვლელი დაკავებულია. ეს ინფორმაცია მას აფხაზურმა მხარემ მიაწოდა.

— პირი, რომელმაც ჩაიდინა ეს მკვლელობა, დაკავებულია. ირკვევა, რომ მისი მცდელობა, გადაელახა რუსეთის საზღვარი, არ შედგა. აფხაზური მხარე ასეთ ინფორმაციას გვაწვდის. არაფორმალურად მას შიდაპატიმრობა ჰქონდა მისჯილი. არაფორმალურად იმიტომ, რომ ეს არ ყოფილა სამართლებრივი გადაწყვეტილება. რუსული მხარე აპირებს, ეს საკითხი გალის შეხვედრაზე განიხილოს. იციან, რომ ქართულ მხარესა და ამ პროცესის ხელმძღვანელობას აუცილებლად ექნება პრეტენზია. ის, რომ ეს პირი დაკავებულია, სწორედ აქ უნდა გააჟღერონ, — განაცხადა არეშიძემ.

# ხურჩაში მომხდარ მკვლელობას დღეს გალის შეხვედრაზე განიხილავენ

## ჟენევის მოლაპარაკებების დღის წესრიგის შეცვლა დაგეგმილი არ არის

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზური მხარე დათანხმდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ აფხაზური რეჟიმის ე.წ. მესაზღვრის მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობა გალის შეხვედრის განხილვის საგანი გახდეს.

გალის შეხვედრები ინციდენტების აღკვეთასა და მათზე რეაგირებას უკავშირდება. 4-წლიანი პაუზის შემდეგ ამ მექანიზმის აღდგენაზე მხარეები გარკვეული ხნის წინ შეთანხმდნენ. მკვლელობის ფაქტზე შეხვედრების მონაწილეებმა დღეს, 27 მაისს, უნდა იმსჯელონ.

— თუ კონსტრუქციული ტონი იქნება, გალის შეხვედრები გაგრძელდება, — განაცხადა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ.

ვიაჩესლავ ჩირიკბამ გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა ჟენევის დისკუსიების მორიგი, 36-ე რაუნდის დღის წესრიგი. მხარეებმა აღნიშნეს, რომ მომხდარი სამწუხარო ინციდენტის მიუხედავად, ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე განსახილველი თემები არ შეიცვლება.

**ვიაჩესლავ ჩირიკბა:**

— მიუხედავად სირთულეებისა, რომლებიც გვხვდება გზაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ერთობლივი მიზანია რეგიონში სტაბილურობის მიღწევა. აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე მომხდარმა სამწუხარო შემთხვევამ არ უნდა შეცვალოს ჟენევის დისკუსიების მიმდინარეობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინციდენტების აღმოფხვრისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ამოქმედების პირობებში.

ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიის საკითხებში ჰერბერტ ზალბერმაც აღნიშნა, რომ ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეთა მთავარი მისია ამიერკავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

**ევროკავშირის წარმომადგენელი ხურჩაში მომხდარ მკვლელობასაც შეეხო:**

— უდავოა, რომ მოვალენი ვართ, რეაგირება მოვახდინოთ ამ ტრაგიკულ ინციდენტზე. ჩვენ ინფორმირებული ვართ, რომ აფხაზურმა მხარემ უკვე მიიღო ზომები მის გამოსაძიებლად. იმედი გვაქვს, რომ ინციდენტების აღკვეთისა და პრევენციის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრა ხელს შეუწყობს შემდგომ ნაბიჯებს ამ ინციდენტის გამოკვლევის საქმეში. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი დღის წესრიგი ჟენევაში უცვლელი იქნება. ვისაუბრებთ ძალის გამოუყენებლობასა და სხვა მნიშვნელოვან მომენტებზე, რომლებიც ხელს უწყობს სტაბილურობას რეგიონში.



25 მაისს პორტალმა კვირამ გაავრცელა არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს აფხაზურმა მხარემ დააკავა გიგა ოთხოზორიას მკვლელი რაშიდ კანჯი-ოღლი.

ეს ინფორმაცია არავინ დაადასტურა. მკვლელის ვინაობაც საქართველოს პროკურატურამ დაადგინა. საოკუპაციო რეჟიმმა, გარდა იმისა, რომ ამ ფაქტის გამოძიების დაწყების შესახებ გამოაცხადა, თბილისს გამოძიების მასალების გადაცემა სთხოვა.

ხურჩაში მომხდარი მკვლელობის შესახებ აფხაზური მხარისათვის მასალების გადაცემას მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი.

უტიაშვილის აზრით, ჯერ ერთი, ამ მასალების გადაცემას არანაირი აზრი არ ექნება, იმიტომ რომ მათ არავინ გამოიყენებს. მეორეც, ეს იქნება, გარკვეულწილად, სოხუმის მმართველობის ლეგიტიმაცია.

მისი თქმით, გამოსავალი იქნებოდა ფაქტების დამდგენი ერთობლივი კომისიის შექმნა. ასეთი გამოცდილება არსებობს. მსგავსი კომისია 2007 წელს აფხაზური მხარის მოთხოვნით შეიქმნა. ამ კომისიამ გაეროსა და ევროკავშირის ეგიდით შედეგიანად იმუშავა. ამ მუშაობის პროცესში კომისიის აფხაზი მონაწილეები ენგურგამოღმა გადმოდიოდნენ, ქართველები კი გალში მუშაობდნენ.

# თინა ხიდაშელი: „ეს დღე ჩვენია და ყოველ 26 მაისს ყველანი ერთად ვეტყვით „არას“ ოკუპაციას“

— ეს დღე ჩვენია და ყოველ 26 მაისს ყველანი ერთად ვეტყვით „არას“ ოკუპაციას, სანამ ამის საჭიროება იქნება, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით თავისუფლების მოედანზე წვევამდელების სამხედრო ფიცის დადების შემდეგ სიტყვით გამოსვლისას.

**თინა ხიდაშელი:**

— გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს. 98 წლის წინ ამ ადგილთან ძალიან ახლოს, აქვე რუსთაველის გამზირზე საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რესპუბლიკას, ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელმაც ბევრი თაობის ქართული ოცნება რეალობად აქცია და ოკუპაციის პირობებშიც კი ჩვენს ორიენტირად იქცა. მაშინ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართულმა პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ ერთხმად გამოაცხადა, რომ აქ, ამ მიწაზე დემოკრატიული რესპუბლიკა შედგა, რომელიც დაეფუძნებოდა ადამიანის უფლებებს, ადამიანის თავისუფლებას, ყველას თანასწორობას, რომელიც იბრძოლებდა მისი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის.



დღეს განსაკუთრებით მინდა მივესალმო ამ დიდებული დღის შემოქმედთა შთამომავლებს, რომლებიც აქ ჩვენთან ერთად იმყოფებიან — ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, ჩხენკელისა და სხვათა შთამომავლებს.

25 წლის წინ აქვე პარლამენტის შენობის დარბაზში მორიგ ჯერზე დაგვჭირდა ქართული რესპუბლიკის გამოცხადება, რაც ადასტურებს, რომ ეს გზა ადვილი არ ყოფილა. ეს იყო ბრძოლის, ომის, თავგანწირვის, თავისუფალი საქართველოს იდეას შეწირული ბევრი თაობის მიერ განვლილი მძიმე გზა.

„არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა“, — ასე მიმართა 98 წლის წინ ქართველმა გენერალმა საქართველოს და მე ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები მთელი საქართველოს ისტორიაა. დიახ, კლავდნენ და არ კვდებოდა, კლავდნენ და მაინც დგებოდა და თავისუფლებისთვის იბრძოდა. ეს დღე ჩვენი.

დღევანდელი დღესასწაული უპირველესად იმ ქალების და კაცების, ჯარისკაცების და მოქალაქეების დამსახურებაა, რომელთა თავგანწირვის შესახებ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში სიცოცხლის ბოლომდე ჩვენს შვილებს მოვუყვებით. ეს დღე ჩვენია და ყოველ 26 მაისს, ყველანი ერთად ვეტყვით — არას ოკუპაციას, სანამ ამის საჭიროება იქნება. არას პროპაგანდას, ფუჭ ნოსტალგიებს, აგრესიას და უაღრეს ტრაგიკულ წარსულს. ეს დღე ჩვენია და ყოველ 26 მაისს ყველანი ერთად დავამტკიცებთ ერთგულებას ყოველთვის, როდესაც ამის საჭიროება იქნება ჩვენი არჩევნის მიმართ ვიბრძოლოთ ძლიერი, უკეთესი, ბედნიერი, ევროპული საქართველოსთვის.

ეს დღე ჩვენია და ყოველი დღე ისტორიულია, რომელიც პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აქ თავისუფლების მოედანზე შედგება. დღეს პირველად თავისუფლების მოედანზე დგას ნატოს ქართველი ასეული და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ისტორიული მომენტი, რომელიც ჩვენ ჩვენს ბუნებრივ ისტორიულ ოჯახში დაგვაბრუნებს — ევროპულ, ევროატლანტიკურ ოჯახში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ამ ბიჭებს ამ მიღწევისთვის, შესაძლებლობისთვის, ამ სტატუსისთვის, რომელიც სულ უფრო გვაახლოებს ევროპულ საქართველოსთან.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, ეს დღე ჩვენია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამითი გზავნილს ვაწვდით ყველას — ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ეროვნების და რელიგიის მოქალაქეებს, ეს დღე ყველასია, მთელი საქართველოსია. და დღეს ჩვენთან ერთად მინდა მივესალმო ამერიკელ, დიდ ბრიტანელ, პოლონელ, ლატვიელ სამხედრო მოსამსახურეებს. მათი აქ დგომა ადასტურებს, რომ ჩვენ მარტო არ ვართ არც დღესასწაულის დროს და არც გაჭირვების დროს. ჩვენი პარტნიორები, ჩვენი მეგობრები აქ ჩვენთან ერთად იდგნენ მთელი ამ წლების განმავლობაში და ასე იქნება მანამ, ვიდრე საქართველოს თავისუფლებას ეს დასჭირდება.

განსაკუთრებით მინდა მივესალმო ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს ცენტრალურ აფრიკაში, მალის რესპუბლიკაში, ავღანეთში, ყველგან, სადაც ამაყად ფრიალებს საქართველოს დროშა სწორედ იმიტომ, რომ ქართველმა სამხედროებმა შექმნეს უკვე მთელი ისტორია მაღალი რეპუტაციის, საამაყო სამხედრო სამსახურის, საამაყო ქვეყნის სამსახურის.

— მე სამსახურზე უარი არასდროს მითქვამს, რაოდენ რთულიც არ უნდა ყოფილიყო მდგომარეობა, დავხმარებოდი სათაყვანებელ სამშობლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს. იყო და არის ჩემი უწმინდესი მოვალეობა — ეს პირველი ქართველი გენერლის, ქართული რესპუბლიკის პირველი გენერლის გიორგი კვინიტაძის სიტყვებია. დიახ, დავეხმაროთ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს თავისუფლების საქმეში, ყოველი ჩვენგანის უწმინდესი მოვალეობაა, ვემსახუროთ საქართველოს, — განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მესტიაჭალის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - B+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 000 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტიის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

12 068 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 206,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

6 234 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 27 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 27 ივნისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 27 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 27 ივნისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

დაბა ადიგენის ტერიტორია, მდ. ქვაბლიანის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 3 900 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

დაბა ადიგენის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

678 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

67,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

539 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 27 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 27 ივნისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 27 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 27 ივნისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

1 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (სიმძლავრე) ყოველწლიურად არ უნდა აღემატებოდეს 1,5 -ს;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით განსაზღვრული მესამე და მეოთხე დაცვის ზონებში.

დ) მოპოვებითი სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მხოლოდ „ბი-პი საქართველო"-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება წიაღისეულის მომპოვებელ ლიცენზიანტს.

ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვილისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ფოცხოვისწყალზე „ვალეს" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - B მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 219 000 მ³).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვილისის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

29 365 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

2 936,5 ლარი

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.



## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რომას გულშემატკივარს 26-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს



იტალიური რომას გულშემატკივარს, დანიელე დე სანტისს, იტალიის სასამართლომ ნაპოლის მხარდამჭერის მკვლელობის გამო 26-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ინციდენტი 2 წლის წინ, 2014 წლის 3 მაისს მოხდა. იტალიის თასის ფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც ერთმანეთს ფიორენტინა და ნაპოლი დაუპირისპირდნენ, ნეაპოლური გუნდის გულშემატკივრები რომის ოლიმპიურ სტადიონს ტოვებდნენ. მხარდამჭერები აგრესიულად იქცეოდნენ და მეტოქე გუნდის ფანების მიმართ რასისტული ხასიათის გამონათქვამებს ხმარობდნენ. ნაპოლის ფანები გზად რომას ულტრასებსაც დაუპირისპირდნენ.

დე სანტისმა პისტოლეტიდან რამდენიმეჯერ გაისროლა და ერთ-ერთი ტყვია ნეაპოლური კლუბის ქომაგს, ჩირო ესპოზიტოს ზურგში მოხვდა. გამოძიების ცნობით კი ესპოზიტო საერთოდ არ მონაწილეობდა ამ დაპირისპირებაში.

დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას რამდენიმე ოპერაციაც ჩაუტარდა, თუმცა 53 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

სასამართლოზე დე სანტისმა განაცხადა, რომ კონფლიქტის დროს თავის დაცვას ცდილობდა, მაგრამ ის დამნაშავედ ცნეს და 26-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

# 20 წლამდე ნაკრები დიდი გამოცდის წინაშე დგას

მანჩესტერში მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ჩემპიონატის სტარტამდე ერთი კვირა რჩება – 4 ივნისს ტურნირი ოფიციალურად გაიხსნება, ხოლო პირველი სამატჩო დღე 7 ივნისს შედგება. შეგახსენებთ, რომ ტურნირში მსოფლიოს 12 ელიტურ ახალგაზრდულ ნაკრებს შორის საქართველო ჩვენი რაგბის ისტორიაში პირველად მიიღებს მონაწილეობას. გარდა ამისა, გაისად ჩემპიონატს საქართველოში ვმასპინძლობთ, შესაბამისად, უმცროს ბორჯღალოსნებს უკვე ექნებათ მსოფლიოში საუკეთესო გუნდებთან თამაშის გამოცდილება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატი მნიშვნელობით მეორეა კაცთა მსოფლიო თასის შემდეგ.

სანაკრებო ბაზა შევარდენზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ღია ვარჯიში გამართეს, რითაც დაასრულეს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების 6-კვირიანი შეკრება.

ნაკრები რამდენიმე დღეს დაისვენებს და 30 მაისს მანჩესტერში მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ჩემპიონატზე გაემგზავრება.

**ჯგუფური ეტაპის მატჩების განრიგი ასეთია:**

**7 ივნისი:** ახ. ზელანდია – საქართველო (22:45);

**11 ივნისი:** უელსი – საქართველო (18:45);

**15 ივნისი:** ირლანდია – საქართველო (20:30).

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:**

**უკანა ხაზი:** სანდრო მერკვილიშვილი (არმია), მირიან მოდებაძე (აია), ირაკლი სვანიძე (ჯიქი), დავით მესხი (არმია), ლადო მიმინოშვილი (ბათუმი), სანდრო ილურიძე (აკადემია), გიორგი კვესელაძე (იუნკერები), გიორგი კოშაძე (ხარები), გურამ ქანდაურაშვილი (ხარები), დავით მოძღვრიშვილი (აკადემია), რატი შანიძე (ლელო), გელა აფრასიძე (ლელო), ვასილ ლობჟანიძე (არმაზი);

**შერკინება:** თორნიკე მატარაძე (აია), ნიკა ნეფარიძე (კლერმონი, საფრანგეთი), ლუკა გოგინავა (ლოკომოტივი), ლაშა საჯაია (ჯიქი), გიორგი ხუროშვილი (არმაზი), გიორგი მელიქიძე (სტადი, საფრანგეთი), ლაშა ტაბიძე (ბორდო, საფრანგეთი), მიხეილ ბაბუნაშვილი (აია), დემურ ეფრემიძე (ყოჩები), ოთარ გიორგაძე (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი ჯავახია (ლიონი, საფრანგეთი), ბექა გორგაძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი), ილია სპანდერაშვილი (არმია), გიორგი ცუცქირიძე (ბრივი, საფრანგეთი), ირაკლი ცხადაძე (არმაზი).



# სოხუმის ამერიკელი ლეგიონერები – საქართველო მაგარი ქვეყანაა



**მიმდინარე სუპერლიგაში გამორჩეული გუნდი იყო სოხუმი, რომელმაც მოახერხა და ოთხეულში შევიდა, რის შედეგადაც პლეი ოფში თამაშის უფლება მიიღო. სოხუმმა ნახევარფინალი ქუთაისთან 2:3 დათმო და მე-3 ადგილისთვის მატჩში ბათუმს შეხვდა. ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა ეს მატჩიც დაძაბულ ბრძოლაში წააგო. თუმცა, ეს მაინც წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ, რადგან რეგულარულ სეზონში სოხუმმა აჯობა რუსთავსა და მგზავრებს, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, სოხუმზე ძლიერები იყვნენ და ოთხეულში გასვლას იმსახურებდნენ.**

**სოხუმმა რომ სპეციალისტების ეს აზრი თავდაყირა დააყენა, გუნდური სულისკვეთების გარდა, ლეგიონერების – ფილიპ მილერისა და ანდრე სმიტის დამსახურებაა. სწორედ მათთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

***– მოგვიყევით თქვენ შესახებ ორიოდე სიტყვით, როგორ მოხვდით საქართველოში?***

**ფილიპ მილერი:** – იუნიორთა კოლეჯში ვსწავლობდი, სადაც სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე, 2 წელი ვსწავლობდი და სხვადასხვა დროს სხვადასხვა დივიზიონში ვთამაშობდი. იქაურ ოლ სტარის თამაშზე ერთ-ერთმა აგენტმა შემამჩნია და ასე აღმოვჩნდი თბილისში.

**ანდრე სმიტი:** – მე ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპადან ვარ. იქ ვინტროფის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ვთამაშობდი კოლეჯის გუნდში. დასრულების შემდეგ რამდენიმე თვე ველოდებოდი, რომ სამსახური მიმეღო. ანდრე ჯონსმა, ჩემმა მეგობარმა, რომელიც აქაური ა-ლიგის გუნდ ვიტაში თამაშობდა, დამაკავშირა სხვადასხვა მწვრთნელებთან და ასე მოვხვდი სოხუმში.

***– რას იტყვით სუპერლიგასა და ქართულ კალათბურთზე?***

**მილერი:** – აქაური ჩემპიონატი ძალიან განსხვავებულია ამერიკულ წესებთან შედარებით. როდესაც პირველად მომიწია თამაში და პირველი ჯარიმა მივიღე, მოვითხოვე წუთშესვენება, მაგრამ მსაჯებმა ყურადღება არ მომაქციეს. იქ გავიგე, რომ, აქაური წესების თანახმად, მოთამაშეებს არ შეუძლიათ წუთშესვენების აღება და ამის უფლება მხოლოდ მწვრთნელებს აქვთ. ზოგადად, თამაშს რაც შეეხება, ძალიან მომეწონა და კარგი დრო გავატარე.

**სმიტი:** – მართალია, განსხვავებულია, მაგრამ, თუკი სერიოზულად მოეკიდები, რთული ნამდვილად არ არის. ამასთანავე, სპორტი ხომ გართობაცაა.

***– რას გვეტყვით სოხუმის კლუბის შესახებ, როგორია გუნდია და რამდენად კმაყოფილნი ხართ ამ გუნდში თამაშითა და მუშაობით?***

**მილერი:** – რასაკვირველია, ალბათ, გულშემატკივარი არ იყო კმაყოფილი საბოლოო შედეგით და შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ უმეტესწილად ვაერთიანებდით ჩვენს ძალებს და ვცდილობდით, საუკეთესოდ წარმოგვეჩინა თავი – გაგვეკეთებინა ყველაფერი, რაც შეგვეძლო.

**სმიტი:** – რა თქმა უნდა, ბევრი წარმატებული თუ წარუმატებელი პერიოდი გვქონდა, მაგრამ ეს ყველას ემართება და ხდება ხოლმე. რაც მთავარია, საერთო ჯამში, ყველაფერი ძალიან კარგი იყო, თანაგუნდელებიც და ხელმძღვანელობაც. ყველანი კარგად საუბრობდნენ ინგლისურად და ეს ძალიან გვეხმარებოდა ერთმანეთის უკეთ გაგებაში. ძალიან კარგი დრო გავატარეთ ამ გუნდთან ერთად.

**მილერი:** – კმაყოფილებას რაც შეეხება, კმაყოფილი არასდროს ვარ შედეგით, ყოველთვის უკეთესი მინდა. მართალია, დიდი მიღწევები, სამწუხაროდ, ამ სეზონზე არ გვქონია, მაგრამ ბევრი რამ გამოვიარეთ ერთად და ეს ძალიან კარგი გამოცდილება იყო.

***– ადევნებდით თუ არა თვალს სხვა ასაკობრივ ჩემპიონატს და რაიმეს ხომ არ ურჩევთ ახალგაზრდა კალათბურთელებს?***

**მილერი:** – როცა ამის დრო გვქონდა, ყოველთვის ვესწრებოდით ჩვენი ახალგაზრდული გუნდების თამაშებს. მათ ვურჩევდი, რომ დადებითად განეწყონ და თავდაუზოგავად ივარჯიშონ, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ყველას სხვადასხვანაირად გვწამს, სწამდეთ იმისი, რისიც სჯერათ და დანარჩენი უკვე თავისით მოვა და დალაგდება.

**სმიტი:** – იშრომონ საკუთარ თავზე და ივარჯიშონ ძალიან ბევრი უნარის გასაუმჯობესებლად, იქნება ეს ტექნიკა თუ ნახტომში სროლა. სერიოზულად მოეკიდონ მუშაობას, რადგან ბევრი მათგან დღესაც თამაშობს და, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრს შეუძლია, ითამაშოს სუპერლიგაში.

***– რამდენად კმაყოფილნი ხართ წლევანდელ ჩემპიონატში სოხუმის შედეგით?***

**მილერი:** – ჩვენი მთავარი მიზანი იყო, მოგვეგო ჩემპიონატი. გავედით კიდეც ნახევარფინალში, ქუთაისს დიდი წინააღმდეგობაც გავუწიეთ, ბოლო თამაშში დავმარცხდით. ჩემს გუნდთან კარგი მოგონებები და გამოცდილება მაკავშირებს და მომენატრება სოხუმთან გატარებული დრო.

**სმიტი:** – არავის სურს, მე-4 ადგილით დაამთავროს სეზონი, მაგრამ ჩვენმა გუნდმა ბევრი გააკეთა ერთად. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. გუნდში არცერთი არ ვიყავით კმაყოფილი, რომ მე-4 ადგილით დავასრულეთ ჩემპიონატი. ძალიან გვინდოდა და ვეცადეთ, დაგვემარცხებინა ქუთაისი მე-5 თამაშში. მე ასე ვიტყოდი: კმაყოფილი – არა, მაგრამ ძალიანაც უკმაყოფილო არ ვიყავით, საბოლოო ჯამში, არ იყო ცუდი.

***– რას იტყვით საქართველოზე, ქალაქებზე, სადაც იყავით და ზოგადად ქართველ ხალხზე?***

**მილერი:** – საქართველო ძალიან მაგარი ქვეყანაა. ხალხი ძალიან მეგობრულია. სადაც არ უნდა წავსულიყავით, ყველა ღიმილით გვეგებებოდა და თბილად გვიღებდა. ძალიან დიდი პატივია ჩემთვის აქ ყოფნა და მოღვაწეობა. მადლობელი ვარ. არ მინდა, ტრაბახში ჩამეთვალოს, მაგრამ ძალიან ბევრი გულშემატკივარი მწერდა და ბევრი სითბო მივიღე მათი მხრიდან.

**სმიტი:** – საქართველო ძალიან კარგია, მეგობრული ხალხით, უსაფრთხო გარემოთი. ნებისმიერ დროს შეგვეძლო, გარეთ გავსულიყავით და თავი დაცულად გვეგრძნო. ჩვენს ქვეყანაში ასე არაა. სამზარეულო ძალიან გემრიელია, მარტო მხოლოდ ამისთვის დავბრუნდებოდი, რომ შემეძლოს.

***– ჩამოხვალთ თუ არა კიდევ საქართველოში და გაქვთ თუ არა გარკვეული გეგმები სამომავლოდ?***

**მილერი:** – სეზონის განმავლობაშიც და განსაკუთრებით ბოლო თამაშის შემდეგ ძალიან ბევრ შეტყობინებებს ვიღებდი გულშემატკივრებისგან, ზოგი ბათუმში, ზოგიც ქუთაისში გადასვლას მთხოვდა, აგრეთვე მთხოვდნენ, რომ ისევ დავბრუნებულიყავი საქართველოში. მარტო ბოლო თამაშის შემდეგ 40 შეტყობინება მივიღე. სავსებით შესაძლებელია, რომ დავბრუნდეთ, რადგან, როგორც ვთქვი, ძალიან შემიყვარდა საქართველო და აქაური ხალხი. სუპერლიგა ძალიან კარგი გამოცდილება იყო ჩვენთვის. თუმცა სამომავლოდ, ვნახოთ, რა იქნება. ამ დროისათვის წარმოდგენა არ მაქვს, რა შეიძლება მოხდეს. ჯერჯერობით უნდა დავბრუნდე შეერთებულ შტატებში, გავესაუბრო ჩემს აგენტს და გადავხედავთ, თუკი ვინმე დაინტერესებული დარეკავს, დიდი სიამოვნებით დავბრუნდები.

**სმიტი:** – თუკი რომელიმე გუნდი შემომთავაზებს, დავბრუნდები, რამდენადაც ამის შესაძლებლობა იქნება. აუცილებლად გავითვალისწინებ ნებისმიერ შემოთავაზებას. ძალიან შემიყვარდა ეს ქვეყანაც და ქალაქიც. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისიც და ბათუმიც ძალიან ლამაზი ქალაქებია.

## შედეგები

**25 მაისი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ხიმნასტიკი-ოსასუნა | 1:0 |
| ლიაგოსტერა-ალმერია | 0:0 |
| მირანდესი-კორდობა | 0:3 |
| ნუმანსია-ლუგო | 1:0 |
| პონფერადინა-ალბასეტე | 2:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ბარი-ნოვარა | 3:4(დდ) |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ილვესი-ლახტი | 2:0 |
| მარიეჰამნი-კუპსი | 0:3 |
| ვანტაა-ინტერი | 3:1 |
| სჯკ-ვპს | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ზვერევი-ერბერი | 5:7,6:2,7:6,7:5 |
| რაონიჩი-მანარინო | 6:1,7:6,6:1 |
| მარტინი-პუიე | 6:3,7:5,6:3 |
| სოკი-ბრაუნი | 6:3,7:6,6:2 |
| რამოსი-ტრუნგილეტი | 6:3,6:4,7:5 |
| სიმონი-პეია | 4:6,1:6,7:5,7:6,6:4 |
| ტროიცკი-ლაიოვიჩი | 6:7,6:3,6:0,6:0 |
| შარდი-პავლაშეკი | 6:4,6:2,6:4 |
| ვავრინკა-დანიელი | 7:6,6:3,6:4 |
| ნიშიკორი-კუზნეცოვი | 6:3,6:3,6:3 |
| ვერდასკო-დოდიგი | 6:2,6:1,6:3 |
| კირგიოსი-სისლინგი | 6:3,6:2,6:1 |
| გასკე-ფრატანჯელო | 6:1,7:6,6:3 |
| ისნერი-ედმუნდი | 6:4,6:4,6:4 |
| გაბაშვილი-პერი | 6:3,6:2,3:6,6:2 |
| კარლოვიჩი-ტომპსონი | 6:7,6:3,7:6,6:7,12:10 |
| მარეი-ბურგი | 6:2,2:6,4:6,6:2,6:3 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ბეკი-ბონდარენკო | 4:6,6:3,7:5 |
| ბეგუ-ვანდევეგე | 6:7,7:6,10:8 |
| როჯერსი-ვესნინა | 6:4,6:2 |
| კვიტოვა-ჰსიე | 6:4,6:1 |
| კუზნეცოვა-უოტსონი | 6:1,6:3 |
| პავლიუჩენკოვა-ბუიუქაქჩაი | 6:3,4:6,6:1 |
| ვიკმაიერი-მაკაროვა | 2:6,6:2,6:2 |
| მუგურუსა-ჟორჟი | 6:2,6:0 |
| ჰალეპი-დიასი | 7:6,6:2 |
| ოსაკა-ლუჩიჩი | 6:3,6:3 |
| სტოსური-ს.ჟანგი | 6:3,6:4 |
| საფაროვა-გოლუბიჩი | 6:2,6:2 |
| პირონკოვა-ლარსონი | 7:5,7:6 |
| სტივენსი-სეპედე როიგი | 7:6,6:1 |
| სტრიკოვა-ჰერცოგი | 6:4,6:4 |
| ა.რადვანსკა-გარსია | 6:2,6:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ჯანსუღ კახიძე 80 წლის გახდებოდა

არაერთი ცნობილი ქართული სიმღერის ავტორი ჯანსუღ კახიძე 80 წლის გახდებოდა. ამ იუბილესთან დაკავშირებით ჯანსუღ კახიძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ორდღიანი კონცერტები გაიმართა, სადაც მაესტროს სიმღერები ახლებური ინტერპრეტაციით აჟღერდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დაარსდა ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, რომელიც ქართველ ხელოვანებთან ერთად მსოფლიო ვარსკვლავებსაც მასპინძლობს.

დირიჟორმა, ლოტბარმა, კომპოზიტორმა და მომღერალმა უდიდესი საგანძური დაუტოვა ქართული კულტურის გულშემატკივრებს.



საქართველოს სახალხო არტისტმა ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა და საერთაშორისო ფესტივალებსა თუ კონკურსებზე პრემიები და ჯილდოები დაიმსახურა. მისი თაოსნობით დაარსდა ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, რომელსაც ახლა ვახტანგ კახიძე დირიჟორობს.

მაესტრომ თავისი ხელოვნება მსოფლიოს არაერთ ქალაქში წარმოადგინა. ის დირიჟორობდა ბავარიის ორკესტრს, ლონდონის სიმფონიურ ორკესტრს, პარიზის რადიოს ორკესტრს, მილანის ლა სკალას ორკესტრს, ვაშინგტონისა და ბოსტონის, სიდნეისა და მელბურნის ორკესტრებს. ჯანსუღ კახიძის სადირიჟორო ჯოხი იტალიის ქალაქ ბუსეტოში, ვერდის სახლ-მუზეუმში ინახება.

ჯანსუღ კახიძე 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# საავტომობილო გზის ნამახვანი–ალპანას მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს განიხილავენ



16 და 17 მაისს წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის ნამახვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

შპს „გამა კონსალტინგის“, სს „ნამახვანისა“ და შპს „კოქს კონსალტის საქართველოს ფილიალის“ წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან განიხილეს ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის ტექნიკური პარამეტრები და მშენებლობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების რისკები.

საჯარო განხილვაზე შეფასდა ნამახვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროექტის სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების საკითხები.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნები და მოსაზრებები, განხილვის მასალები თანდართულ იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ გზშ-ს ანგარიშში.

# ზურა ყიფშიძე მეფე ლირის როლში



ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ზურა ყიფშიძის გულშემატკივრებს საშუალება მიეცათ, მსახიობი ახალ სპექტაკლში იხილონ. მარჯანიშვილის თეატრში გამართული „არტ ხელოვნების“ გარდა, მსახიობი ამიერიდან კინომსახიობთა თეატრის ახალ წარმოდგენაში ითამაშებს.

მსახიობები უწყვეტ რეპეტიციებს გადიან, რეჟისორისგან ბოლო მითითებებს იღებენ და მაყურებელთან შესახვედრად ემზადებიან.

„მეფე ლირის“ პრემიერა კინომსახიობთა თეატრში 28 მაისს გაიმართება.

# სიღნაღის თეატრი კანადაში დააჯილდოვეს

სიღნაღის თეატრს კანადაში ლივერპულის მსოფლიოს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე 3 პრიზი მიანიჭეს.

სიღნაღის თეატრმა სპექტაკლი „მოხეტიალე დასი“ ითამაშა, რომელიც რეჟისორმა მურად ვაშაკიძემ გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით დადგა:

— ემოციები ჯერ არ ჩამცხრალა. ამისთვის ნამდვილად ღირდა წვალება. დანაპირები შევასრულეთ, დიდი კონსტანტინესი არ იყოს: „ჩვენ დავიბადეთ პატარა მდინარის პირას. ვებრძვით და ვიმარჯვებთ დიდი მდინარის პირას დაბადებულებზე“... პრიზები მივიღეთ




საუკეთესო უცხოური სპექტაკლისთვის, მაყურებლის რჩეული სპექტაკლისთვის და ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი გადაეცა ნანა ბუკიას, — ნათქვამია სიღნაღის თეატრის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*




**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი
## 27 მაისისთვის



**ვერძი** — ყოველმხრივ დადებითი დღეა. პირად ცხოვრებაში სასიხარულო ცვლილებებია მოსალოდნელი. ნებისმიერი სირთულისა და დაბრკოლების გადალახვას შეძლებთ. **კურო** — მამაკაცებს დღეს პლანეტა ვენერა გმფარველობთ. საწინააღმდეგო სქესი თქვენით დაინტერესებულია. ჰარმონიული და გაწონასწორებული დღეა. **ტყუპები** — პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები შეინიშნება. ოჯახში სიტუაცია იძაბება. კამათის დროს ორივე მხარე წაგებული დარჩება. **კირჩხიბი** — თუ შთაგონება გეწვევათ, არ უგულებელყოთ. ნებისმიერი კომერციული წამოწყება წარუმატებელი იქნება. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა. ამბიციები მოთოკეთ. არ არის საჭირო, ყველგან თქვენი უპირატესობა დაამტკიცოთ. იყავით უფრო დემოკრატიული. **ქალწული** — მოვლენები მოულოდნელად თქვენ სასიკეთოდ იცვლება. იმისათვის, რომ ჩანაფიქრი განახორციელოთ, თქვენს ხელთ არსებული რესურსები გონივრულად უნდა გაანაწილოთ. **სასწორი** — ახალი იდეების ხორცშესხმა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, ოღონდ ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ. ოქროს შუალედის დაცვა აუცილებელია. **ღრიანკალი** — სასიცოცხლო ენერგია მცირდება. ნუ დაიძაბებით. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ვიზიტი და შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** — შესაფერისი დღეა შემოქმედებითი აქტივობისათვის, რაშიც პლანეტა მერკურის მფარველობას იგრძნობთ. მოთმინებით აღიჭურვეთ და უარყოფით ენერგიას გასაქანს ნუ მისცემთ. **თხის რქა** — მოულოდნელი ახალი ამბავი სიტუაციას თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნებს. თუ ერთობლივ პროექტში მონაწილეობა შემოგთავაზეს, უცებ ნუ დათანხმდებით. **მერწყული** — პირად ცხოვრებაში შესაძლოა ნეგატიური ცვლილებები მოხდეს. საკუთარი ინტერესები დროებით გვერდზე გადადეთ. ასე უკეთესია. **თევზები** — კეთილისმყოფელი დღეა პირადი ცხოვრების მოსაწყობად, ოჯახის შესაქმნელად. მოსალოდნელია ძველ მეგობრებთან შეხვედრა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 3. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 4. ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი; 5. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 7. სმენადაკარგული ადამიანი; 11. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 15. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 16. უღელტეხილი კავკასიონზე; 17. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 18. კუთხე საქართველოში; 20. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 22. ხილის წვენებისაგან მომზადებული გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 6. ნივთების შესამკობად გადაკრული ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენა; 8. შავი ფერის, ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 9. დონბასის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. ნახშირის სახატავი ფანქარი; 12. ღვინის სასმისი; 13. საბანკო შეტყობინება; 14. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 19. პოლონეთის ქალაქ დანცინგის დღევანდელი სახელწოდება; 21. მდინარე ყვარელში; 23. გამკილავი შინაარსის, სახელდახელოდ თქმული ლექსი; 24. მთიანეთი აფრიკაში; 25. ძვირფასი ლითონი; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კურსები; 2. ლეჩაქი; 3. აკვარელი; 4. პატეფონი; 7. „ნატახტარი“; 8. წიწამური; 12. სპინინგი; 14. მექანიკა; 16. ბულდოგი; 17. ყაირათი; 19. „საბა“; 20. სვია.

**თარაზულად:** 5. გუჯაბიძე; 6. ესკალაცია; 9. მედინა; 10. ქაშერი; 11. აწმყო; 13. ოპური; 15. მედუზა; 18. გურჯი; 21. თითლიბაზი; 22. „ოროველა“; 23. წაღვერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „კრახუნა“; 2. გერგეტი; 3. ერზაცი; 4. გოეთე; 5. სელადონი; 7. კიი; 11. სონეტი; 15. მატრონა; 16. საკურა; 17. „ლაციო“; 18. ამება; 20. როდეო; 22. ჯაკო.

**თარაზულად:** 6. „რიბოკი“; 8. თემშარა; 9. კნეთელი; 10. „ხემლისი“; 12. მოცვი; 12. ელადა; 14. ოპონენტი; 19. ლოტბარი; 21. გარეჯი; 23. მარკა; 24. აიმაკი; 25. ენოთეკა; 26. პაკპაუზი.

# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით. ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ამავე წელს პირველად გაიცა სერთიფიკატი CE პროდუქტი რომელსაც მალავს ფარმაცევტული ბაზარი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა), აქვეითებს მადას, გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, ამაღლებს სქესობრივი პოტენციის დონეს, ხელს უწყობს „სქესობრივი მადის“ აღძვრას. ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“. უცნაურია, დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ, რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი, გერმანიუმი) ნეოდიმი (Nd) იშვიათი მინერალია დედამიწაზე, იგი არის მცირე ზომის, აქვს ძლიერი მაგნიტური ძალა. ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, არ იწვევს ალერგიას. მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე.

**ფასი 50 ლარი.**

---

1) წლების განმავლობაში მქონდა დისკომფორტი ზურგის და წელის არეში, მქონდა დაძაბულობა და ტკივილი კისრისა და კეფის არეში, ამინდის ცვლილება მოქმედებდა უარყოფითად, მაწუხებდა არტერიულო წნევა. ტიტანის სამაჯურის წყალობით მომეხსნა ყველა ზემოთ აღნიშნული ტკივილი. დიდი მადლობა.

**(ნინო.გ.) თბილისი**

2) მაწუხებდა ოსტეოქონდროზი, მქონდა კისრის მალების ძლიერი ტკივილი, ორი თვის განმავლობაში საგრძნობლად გამიუმჯობესდა მდგომარეობა. ძალიან კმაყოფილი ვარ, თავს ვგრძნობ შესანიშნავად.

**(ლილი.შ) ხაშური**

3) წლების განმავლობაში მაწუხებდა ყურებში შუილი, წელისა და ფეხის ტკივილი, სამაჯურის ტარება შვილმა მირჩია. პირველივე დღესვე ვიგრძენი შვება, ერთი თვის განმავლობაში კი ალაგდა ჩემი ყველა ჩივილი, თავს მსუბუქად და ბედნიერად ვგრძნობ. დიდი მადლობა და წარმატებები ამ ღვთისნიერ საქმიანობაში.

**(ცისანა.ლ) თბილისი**

4) მართალი გითხრათ, არც მჯერა თუ ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა არტერიული წნევისაგან, ჩემი ქრონიკული ტკივილებისგან გათავისუფლება. ბავშვობიდან მაწუხებდა შაკიკის ურთულესი ფორმა. გადავწყვიტე შემეძინა ტიტანის სამკურნალო სამაჯური. მეორე დღესვე ვიგრძენი შვება. ტკივილების ხანგრძლივობა და სიმძლავრე დღითიდღე მცირდება. წნევის პრობლემა სრულიად მოხსნილია. დიდი მადლობა.

**(არჩილ.ბ) ბათუმი**

5) ახლობელმა მიამბო სამაჯურის შესახებ, არ მჯეროდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე გამოყენება. მაწუხებდა ჭარბი წონა, გულძმარვა, კოლიტი. ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, სახსრების ტკივილი, პირველივე დღეებიდან ვიგრძენი ენერგიის მოზღვავება, საოცარი სიმსუბუქე, 2-3 კვირაში გამიქრა სიმსუნაგის შეგრძნება, ტკბილეულზე მოთხოვნა აღარ მქონდა, მადა საგრძნობლად დამიქვეითდა. მეორე კვირიდანვე გამიქრა ტკივილები სახსრებში, საოცრად მსუბუქად დავიწყე მოძრაობა. გამიუმჯობესდა გუნება-განწყობა, დამიბრუნდა ცხოვრების ხალისი, მომიწესრიგდა ძილი, მომეხსნა ხველა. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, დავიწყე ისეთი პროდუქტების მიღება, რომლებსაც ადრე ვერიდებოდი, ნაწლავების მოქმედება გახდა რეგულარული და ყოველდღიური.

გამიუმჯობესდა კანის, ფრჩხილების მდგომარეობა, შემიჩერდა თმის ცვენა. გამიქრა ტკივილები ზურგისა და წელის არეში. რაც მთავარია, დავიწყე წონაში კლება, 3 თვის ბოლოს აღმოჩნდა, რომ დავიკელი 12 კგ-მდე. დიდი მადლობა.

**(ალეკო.ს) რუსთავი**

6) უკვე თვენახევარია, რაც ტიტანის სამაჯურს ვატარებ. პირველივე დღიდან ვიგრძენი საოცარი სიმშვიდე, თანდათან მომიწესრიგდა ნერვული სისტემა, აღარ ვარ ისე აღგზნებული და ნერვიული.

**(ანი.ნ) ქუთაისი**

**მისამართი ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას 79. ტელ.: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე 579 885 996**
**ანგარიშის ნომერი**
**საქართველოს ბანკი GE79BG0000000327063600**

# გია კორკოტაშვილი „ვანოს შოუს“ აფრთხილებს



გია კორკოტაშვილს „ვანოს შოუში“ მისი მისამართით მომზადებული ხუმრობები აღიზიანებს. განსაკუთრებული გაღიზიანება შოუს ბოლო გადაცემამ გამოიწვია, ამიტომ მან რუსთავი 2 და გადაცემაზე მომუშავე გუნდი საჯაროდ გააფრთხილა.

**გია კორკოტაშვილი:**

– რუსთავი 2-ს მინდა მივმართო, ძალიან დიდი მადლობა, რომ მაპიარებთ ხოლმე, მაგრამ ბოლო „ვანოს შოუ“ რომ ვნახე, ცოტა ზედმეტები მოგივიდათ. ჩემი მეგობრული რჩევაა, ცოტა ფრთხილად იყავით, რამეს არ წამოასკდეთ!"

# ანუკა არეშიძე გააკრიტიკეს




ახალგაზრდა დიზაინერი ანუკი არეშიძე არასოდეს უშინდება სიახლეებს და ცდილობს, ქართული მოდის სამყაროში სიახლეები დაამკვიდროს. მან ქართული ანდაზებით წარწერილი მაისურების გაყიდვა დაიწყო, რითაც ხალხურ სიბრძნეს უწევს პოპულარიზაციას.

თუმცა დიზაინერის ჩანაფიქრს კრიტიკოსები მაინც გამოუჩნდნენ. როდესაც ანუკიმ ინტერნეტში ატვირთა მაისური წარწერით „ბადრიჯანს რომ ფრთები ჰქონდეს, მერცხალი იქნებოდაო“, ამან საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

ანუკი არეშიძე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად იძულებული გახდა, განმარტება გაეკეთებინა:

– არსებობს ქართული ძალიან მაზალო და საყვარელი ანდაზები, რომლებიც, ალბათ, ბევრმა არ იცის. ერთ-ერთი იყო ბადრიჯანზე, რომელიც ძალიან მომეწონა და გავაკეთეთ მაისურზე მისი წარწერა. ეს ხალხური ანდაზებია და არა ჩემი მოგონილი. ცოტა მხიარულად და მარტივად შევხედოთ რაღაცებს.

# „ჩემი ცოლის დაქალების“ შემქმნელები ახალ სერიალზე მუშაობენ

გახმაურებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ შემქმნელები ახალ სერიალზე მუშაობენ. ფორმულა კრეატივის გუნდი მალე მაყურებელს შესთავაზებს ახალ პროდუქტს, რომელსაც „ხელოვნური სუნთქვა“ უწოდეს.

ახალი სერიალიც რუსთავი 2-ზე გავა და მისი თემატიკა სამედიცინო სფერო იქნება. სერიალში ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას, მათ შორის, თორნიკე გოგრიჭიანი, ქეთი ცხაკაია... ინტერნეტში უკვე გავრცელდა სერიალის ტრეილერი, რომელიც მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

როგორც „ჩემი ცოლის დაქალების“ პროდიუსერი ირაკლი საღინაძე აცხადებს, „ხელოვნური სუნთქვის“ გამოჩენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ჩემი ცოლის დაქალები“ დასრულდება, პირიქით, ორივე სერიალი სატელევიზიო ეთერში ერთდროულად იქნება წარმოდგენილი.

# რობი უილიამსი თბილისშია



ბრიტანელი მუსიკოსი და მომღერალი რობი უილიამსი თბილისშია. ის კონცერტამდე ორი დღით ადრე სპეციალურ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. თბილისში მისი კუთვნილი თვითმფრინავი გვიან ღამით დაეშვა. მომღერალს თბილისის აეროპორტში მისი კონცერტის ორგანიზატორები და ჟურნალისტები დახვდნენ.

რობი უილიამსმა ქართველებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველო და ქართველი პუბლიკა ყოველთვის აინტერესებდა.

– საქართველო და აქ მიმდინარე მოვლენები სულ მაინტერესებდა. მე ერთი სული მაქვს, მივიღო თქვენი სიყვარული. ამას ძალიან ველოდები. გთხოვთ, იყავით კეთილგანწყობილი ჩემ მიმართ. მე თქვენი სიყვარული მჭირდება. მე ვიცი კარგი პუბლიკის ფასი, – განაცხადა მომღერალმა.

რობი უილიამსი კონცერტს თბილისში 27 მაისს დინამო არენაზე გამართავს, სადაც ახალ სიმღერებთან ერთად ყველასთვის კარგად ნაცნობ ჰიტებსაც შეასრულებს. ის მეორე მსოფლიო ვარსკვლავია, რომელიც წელს საქართველოს ჩექ ინ ჯორჯიას ფარგლებში ესტუმრა. აპრილში ქართველი მსმენელისთვის ეროს რამაზოტიმ იმღერა. ამავე პროექტის ეგიდით ზაფხულში კონცერტებს ხოსე კარერასი და ჯგუფი მარონ 5 ქუთაისსა და ბათუმში ჩაატარებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

ძმისშვილები შალვა და ირაკლი ჩიტაიები, რძალი ჯულიეტა ჭკადუა-ჩიტაია, ბიცოლა მერი მამულია-ჩიტაია, ბიძაშვილები დავით, თენგიზ და ვახტანგ ჩიტაიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ციცო შალვას ასული ჩიტაია-კუპრავა**

გამოსვენება: შაბათს, 28 მაისს, 15 საათზე;
მისამართი: თბილისი, მეუნარგიას 68.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი 27 მაისი**

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ტოფ გიარი**" 12.30 "ბრაუზერი" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ეკიპაჟი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" 21.40 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ქრუკლინი**" 03.20 "პირადი ექიმი"

08.00, 19.00 23.30 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 დ/ფ "დიდებული დუნაი" 10.40 დ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო" 11.30 დ/ფ "საბერძნეთი – კრეტა" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 19.20 **ფეხბურთი** – ამხანაგური მატჩი: "**სლოვაკეთი**" – "**საქართველო**" 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 23.30 სუხიშვილები – 70 01.15 მხ/ფ "**ყველაზე საშიში ადამიანი**" 03.30 მხ/ფ "**სუპერ ფორსაჟი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 32 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ძვლები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 10 23.40 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 0.40 მხ/ფ "**კაზანოვა**" 2.30 URBAN STORIES

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "იქ ცა და მიწა ერთდება..."-პატრიარქი ისრაელში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 მოკ.მხ/ფ "**მტრედები**" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ღვთის სახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" 1 15.40 კონცერტი 17.15 მიწათმოქმედი "წყლის ძიება და ნიადაგის ანალიზი" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "მიწის სჯული" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "მანის ხევი–ტანძია და ფიტარეთი" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 დ/ფ 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები"-PINKOD (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 15.30, 01.30 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ფართოა მდინარე**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.30 სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


27 მაისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1473 |
| ევრო | 2.3945 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1385 |
| 100 რუსული რუბლი | 3.2568 |

## ამინდის პროგნოზი 27 მაისისთვის





## ყურადღება!

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წიგნის შეძენა!

27 მაისიდან

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

ბიძია თომას ქოხი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



24 მაისიდან

ერიხ მარია რემარკი

ტრიუმფალური თაღი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## იუმორი



კაცი ხიდან ჩამოვარდება. ოჯახის წევრები მაშინვე საავადმყოფოში გააქანებენ. გარკვეული დროის შემდეგ, ექიმი გამოდის და მის შვილს ეუბნება:

– ეეჰ, დეიგვიანეთ, დეიგვიანეთ...

– რავა, სანამ ჩამოვარდებოდა, მანამდე უნდა მოგვეყვანა?!

●●●

ორი ნარკომანი ბირჟაზე დგას. ამ დროს ზანგმა ჩამოიარა. ერთი მეორეს ეკითხება:

– ეს ვინ არის, ტო?

– სომალელი ლტოლვილია.

– ვახ, ჩემი, სომალიც დავკარგეთ, ტო?

●●●

ათწლიანი ქორწინების შემდეგ ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, შენი არსით შენ გამარჯვებული ხარ, თუ დამარცხებული?

– ძვირფასო, წლების გასვლასთან ერთად ვრწმუნდები, რომ დაზარალებული ვარ!

●●●

ოსი მაღაზიაში შევიდა, ქათმის სახელი ვერაფრით გაიხსენა, გამყიდველს კვერცხებზე მიუთითა და ეკითხება:

– ამათი დედა, სად ალის?

●●●

ქმარი ცოლს უყვირის:

– ყელში ამოვიდა შენი მითითებები, თუ რა უნდა გავაკეთო. ახლა მეგობრებთან ერთად წავალ ბარში, ლუდის დასალევად, მერე შეიძლება ქალი დავითრიო, სახლში მთვრალი და გვიან დავბრუნდები. და აბა გამოიცანი, ვინ გამხდის ფეხსაცმელს?

– პათოლოგოანატომი!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– გინდა დაგიმტკიცო, რამ რქიანი ხარ?

– მიდი, აბა.

– წყალს უნიტაზიდან სვამ?

– არა!!!

– იმიტომ, რომ რქები გიშლის ხელს!

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, დედას რა აქვს ფეხებშუა?

– სამოთხე, შვილო.

– და შენ რა გაქვს ფეხებშუა?

– სამოთხის კარის გასაღები.

– მაშინ საკეტი გამოცვალე.

– რატომ?

– გოგი ბიძიას დუბლიკატი აქვს.

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, ცირკში წავიდეთ, მაგარი მასხრები გამოდიან.

– შვილო, პარლამენტში ჩვენ ვინ შეგვიშვებს?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზლატანი შეიძლება მანჩესტერ იუნაიტედში აღმოჩნდეს




შვედი თავდამსხმელის ზლატან იბრაჰიმოვიჩის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია. იბრამ პსჟ დატოვა და ახლა გუნდის ძიებაშია. ზლატანის საკუთარ რიგებში ხილვა მანჩესტერ იუნაიტედს სურს და მანჩესტერელები მზად არიან, იბრას ნებისმიერი კაპრიზი დააკმაყოფილონ.

თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მას აქვს კონკრეტული შემოთავაზება ინგლისიდან, მაგრამ კლუბის დასახელებისგან თავის შეიკავა. სავარაუდოდ, ეს გუნდი სწორედ მანჩესტერ იუნაიტედია.

ზლატანის თქმით, ის მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ფიქრობს და თავისი მომავალი გუნდის შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ ამ ტურნირის დასრულების შემდეგ მიიღებს.

## დანიელ სტარიჯმა ტრავმა მიიღო



ინგლისის ნაკრებისა და ლივერპულის ფორვარდმა დანიელ სტარიჯმა მორიგი ტრავმა მიიღო და მისი თამაში ევროპის ჩემპიონატზე საფრთხის ქვეშ არის.

ამჯერად სტარიჯმა ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი იტკინა.

მისი არყოფნა ინგლისის ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან სტარიჯი თავის ქვეყანაში ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება.

სტარიჯი ხშირად იღებს ტრავმებს და ამის გამო მას ბევრი დრო გაუცდა. თუ დანიელი ვერ მოახერხებს ტრავმის დროულად მოშუშებას, მის ადგილს მანჩესტერ იუნაიტედის ახალგაზრდა ფორვარდი მარკუს რეშფორდი დაიკავებს.

## დანი ალვესი იუვენტუსში გადადის



ბარსელონის ბრაზილიელი მცველი დანი ალვესი იუვენტუსში გადასვლასთან ახლოს არის. ალვესი იუვესთან მოლაპარაკებებს ერთი თვის განმავლობაში აწარმოებდა და, როგორც ჩანს, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა.

ჯერჯერობით არცერთ მხარეს ეს ტრანსფერი ოფიციალურად არ დაუდასტურებია და, ალბათ, ამას უახლოეს დღეებში გააკეთებენ.

ესპანური პრესის ცნობით, ალვესი იუვენტუსთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. დანიელ ალვესი ბარსელონაში 2008 წელს გადავიდა და კატალონიელების ერთ-ერთი ლიდერიც გახდა. ის ერთდროულად ეფექტური იყო დაცვაშიც და შეტევაშიც. ბარსელონაში წასვლამდე დანი ალვესი სევილიის ღირსებას იცავდა.

## რაფა ბენიტესი ნიუკასლში რჩება



ესპანელმა სპეციალისტმა რაფაელ ბენიტესმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და მომავალ სეზონშიც ნიუკასლის მთავარი მწვრთნელი იქნება.

ბენიტესი ნიუკასლში სეზონის ბოლოს მივიდა, მაგრამ გუნდი პრემიერ ლიგიდან გავარდნას ვერ გადაარჩინა. მიუხედავად ამისა, ნიუკასლში კმაყოფილნი არიან ბენიტესის მუშაობით და მას ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, რაზეც რაფამ უარი არ თქვა.

ბენიტესის სეზონი მადრიდის რეალში დაიწყო, მაგრამ ეს წამოწყება წარუმატებელი აღმოჩნდა. რაფამ მადრიდში მხოლოდ 4 თვე დაყო.

ნიუკასლის მთავარი მიზანი მომავალ წელს პრემიერ ლიგაში დაბრუნება იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ნეონაცისტებმა ტეილორ სვიფტი არიელ ქალღმერთად გამოაცხადეს



ამერიკელმა ნეონაცისტებმა პოპ-მომღერალი ტეილორ სვიფტი არიელ ქალღმერთად აღიარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. აღნიშნული ინფორმაციის ავტორი მიტჩელ სანდერლენდი განმარტავს, რომ ინტერნეტ-საზოგადოებად გაერთიანებული ულტრამემარჯვენეები ვარსკვლავს თავგამოდებულ რასისტად მიიჩნევენ და მისი ნათელი ფერის თმებითა და ცისფერი თვალებით აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

– ტეილორ სვიფტი – ფარული ნაცია და უბრალოდ ელოდება იმ მომენტს, როდესაც დონალდ ტრამპის გამარჯვება საშუალებას მისცემს მსოფლიოს საკუთარი შეხედულებები გაუმხილოს. შესაძლოა მან ამერიკა ტრამპის შვილთან ერთად მართოს, – აცხადებს ამერიკელი ბლოგერი ანდრე ენგლინი, რომელიც თეთრების სუპერრასიზმის პროპაგანდითაა დაკავებული.

თუ როდის გამოაცხადეს 26 წლის სვიფტი თავიანთ ქალღმერთად, უცნობია. ერთ-ერთი ვერსიით, ულტრამემარჯვენეები ვარსკვლავით 2013 წელს მას შემდეგ დაინტერესდნენ, როდესაც შეიქმნა დემოტივატორები ტეილორის ფოტოსურათებითა და ადოლფ ჰიტლერის ციტატებით.

## ბობ მარლის ოჯახი ფოტოსესიაზე შეიკრიბა



იამაიკელი მუსიკოსის ბობ მარლის შვილები და შვილიშვილები ათი წლის განმავლობაში პირველად შეიკრიბნენ ფოტოსესიისთვის, რომელსაც ორგანიზება ამერიკულმა ჟურნალმა გაუკეთა. ოჯახური ფოტოსურათი გამოცემამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალის აკაუნტში განთავსებულმა ფოტოსურათმა ორი ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

– საზაფხულო ნომრისგან: ბობ მარლის შვილები და შვილიშვილები ათი წლის შემდეგ პირველად შეიკრიბნენ ფოტოსესიაზე, – წერია ფოტოსურათისთვის გაკეთებულ კომენტარში.

მუსიკოსის ოჯახის საერთო ფოტოსურათის გარდა, ასევე გამოქვეყნდა მისი უმცროსი შვილის, რეგი-შემსრულებლის დემიან მარლის ფოტოსურათიც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მოლაპარაკე ფრინველი; 2. სპორტული სარბოლო მანქანა; 3. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. სამეცნიერო ნაშრომის მოკლე წერილობითი გამოცემა; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოშობილი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 12. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 17. ქალაქი-მუზეუმი სირიაში; 19. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 20. ესპანური ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმა.

**თარაზულად**: 5. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. ძველებური სასადილო, სავაჭრო; 11. ნავსადგური უკრაინაში; 13. საჭმელი სოკო; 15. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 18. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 21. ეგეოსისა და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 22. ყურის ექიმი; 23. მარტის თვის ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი